ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 350

"17" სექტემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მერიასა და სს „იუნიონს" შორის 2008 წლის 29 იანვარს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი წესით მიყიდვისა და ინვესტიციების განხორციელების შესახებ" ხელშეკრულებით განსაზღვრული საინვესტიციო პირობების გაუქმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 12 აგვისტოს N32.21.978 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მერიასა და სს „იუნიონს" შორის 2008 წლის 29 იანვარს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი წესით მიყიდვისა და ინვესტიციების განხორციელების შესახებ" ხელშეკრულების (რეესტრში რეგ. N498/1) 5.1.2 და 5.1.3 პუნქტებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობების გაუქმებაზე, იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების მოშლის შედეგად, სს „იუნიონი" არ მოითხოვს მის მიერ გადახდილი ნასყიდობის ფასის უკან დაბრუნებას.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი